ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის(დიღმის მასივი)

მაჟორიტარი დეპუტატის

თარაშ შურღაიას წარმომადგენლობის

2020-2021 წლის ანგარიში .

პირველ რიგში მინდა შევეხო საკრებულოში ჩემს საქმიანობას. მე ვარ თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული

საქართველო” თავჯდომარის მოადგილე.ასევე 2 კომისიის წევრი: გარემოს დაცვისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

სულ საკრებულოში ჩატარდა 22 სხდომა.

დასწრება 1

მიღებული დადგენილება 111

განკარგულება 547

ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

ჩატარებული სხდომა 16

განხილული საკითხები 24

დასწრება 4

გარემოს დაცვის კომისია

ჩატარებული კომისიის სხდომის რაოდენობა - 16

განსახილველი საკითხების რაოდენობა - 68

კომისიის სხდომაზე დასწრების რაოდენობა - 6

შესწავლილი საკითხების რაოდენობა - 31

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

სხდომების რაოდენობა 16

დასწრება 2

შესწავლილი საკითხების რაოდენობა 68

წარმომადგენლობა

წარმომადგენლობის სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. წარმომადგენლობა აწარმოებს მოქალაქეების მიღებას ყოველ დღიურ რეჟიმში, საფუძვლიანად ეცნობა თითოეული მოქალაქის საკითხს და შესაბამისი განცხადების საფუძველზე ხდება რეაგირება სხვადასხვა სამსახურებთან.წარმომადგენლობა უშუალოდ არის ჩართული დიდუბის რაიონის ყველა პროექტისა და ღონისძიების დაგეგმაში.

მოსახლეობა

სულ დიღმის მასივში ცხოვრობს 40 000 ადამიანი, აქედან სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობს დაახლოებით 6 000 ადამიანი, რომელთაგან 800 უფასო სასადილოს ბენეფიციარია, 1 250 დევნილი, 11 600 პენსიონერი, 400 ვეტერანი.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

2020 წლის ნოემბრიდან დღემდე სულ მოგვართა დაახლოებით - 400 მდე ადამიანმა. შემოვიდა 100 განცხადება. საიდანაც 95% იყო სოციალურ თემაზე, ხოლო 5 % მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს.

სოციალური საკითხი

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, რომელიც მოიცავს ოპერაციებს, მედიკამენტებს, მკურნალობას, გამოკვლევას, ერთჯერად დახმარებას, სარეაბილიტაციო კურსებს, სარიტუალო მომსახურებას, შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა ყველა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველ და მეორე მოთხოვნა შორის პერიოდი 4 თვეზე ნაკლები იყო.

დეპუტატის შუამდგომლობით განცხადებების დიდი ნაწილი დააკმაყოფილა დიდუბის რაიონის გამგეობამ, ასევე სხვადასხვა რაიონის გამგეობებმა და ქ. თბილისის მერიის სოციალურმა სამსახურმა.

ინფრასტრუქტურა

ამხანაგობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების მიერ მოხდა სადარბაზოს შიდა რემონტი,ლიფტების შეკეთება, წყალსაწრეტი მილების შეცვლა , შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა.

1. ლიფტების შეკეთება მოხდა 14 მისამართზე
2. წყალსაწრეტი მილების შეცვლა 5 მისამართზე
3. შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა 6 მისამართზე
4. სადარბაზოს შიდა რემონტი 1 მისამართზე
5. საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა 3 მისამართზე
6. ბრტყელი სახურავი 4 მისამართზე
7. სადარბაზოს მეტალის კარი 1 მისამართზე
   აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ჯამური თანხა შეადგენს 789 472,23 ლარს.

ჩატარებული ინფრასტუქტურული სამუშაოები

საგზაო სამუშაოები ჩატარდა **19** მისამართზე- **584308,10** ლარი

ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები **3** მისამართზე - **284804,07**ლარი

სკვერების აღდგენა **20** მისამართზე- **94897,25** ლარი

ხეების მოჭრა **3** მისამართზე - **61296,63** ლარი

ტრენაჟორების მოწყობა **2** მისამართზე - **56319,36** ლარი

ახალი მოაჯირები **9** მისამართზე- **55542,13** ლარი

სანიაღვრე **1** მისამართზე- **65569,15** ლარი

სპორტული მოედნები აღდგენა-შეკეთება **9** მისამართზე- **129648,07** ლარი